

თბილისის  
მიღამოების  
ტყები



# საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი

ტექსტისა და ილუსტრაციების ავტორი: ბიოლ. მეცნ. დოქტორი ნ. ლაჩაშვილი

ბროშურა განკუთვნილია საშუალო სკოლების მე-7 - 9 კლასებისათვის



Botschaft  
der Bundesrepublik Deutschland  
Tiflis



გერმანიის ფედერაციული  
რესპუბლიკის სახელმ  
თამაზისი



Gefördert durch die Deutsche Botschaft  
დაფინანსებულია გერმანიის საელჩოს მიერ

თბილისი

2014

ISBN 978-9941-0-6501-9

# თბილისის მიდამოების ტყეები

## ■ შესავალი

ტყე ხემცენარეებისგან შექმნილი მცენარეულობაა. მისთვის დამახასიათებელია მკაფიოდ გამოხატული სამი იარუსი: ხეების (ხევნარი), ბუჩქებისა (ქვეტყე) და ბალახოვანი მცენარეების (ბალახოვანი საფარი) იარუსები. ზოგჯერ კარგადაა ჩამოყალიბებული ხავსების იარუსიც. განმსაზღვრელია ხევნარი, რომელიც ქმნის ტყისთვის დამახასიათებელ ეკოლოგიურ გარემოს შესაბამისი განათებით, მიკროკლიმატით, ნიადაგში ტენის შემცველობით და სხვა. ტყეში მოზარდი სხვა მცენარეები (ბუჩქები და ბალახები) შეგუებულია ამ გარემოში ცხოვრებას.

ტყეებს ხმელეთის საერთო ფართობის დაახლოებით 27% უკავია. ისინი ანტარქტიდის გარდა ყველა კონტინენტზეა. დედამიწაზე ტყეების დიდი მრავალფეროვნებაა. ტყეები ყველაზე ფართოდ გავრცელებულია ტროპიკულ და ზომიერ სარტყლებში, შედარებით მცირედ – ნახევრად მშრალი კლიმატის ზონებში.

ტყეებს დედამიწაზე ეკოლოგიური ბალანსის შენარჩუნებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ტყეები უანგბადს გაცილებით დიდი რაოდენობით გამოიმუშავებს, ვიდრე ბუჩქნარი



მთის ტყე (მცირე კავკასიონი)

და ბალახოვანი მცენარეულობა. ამიტომ ისინი დედამიწის ძირითადი “ფილტვებია”. ერთი ჰექტარი შერეული ტყე წელიწადში საშუალოდ 13-17 ტონა ნახშირორჟანგს შთანთქავს და 10-15 ტონა უანგბადს გამოჰყოფს. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მდინარე ამაზონის აუზის ტყეები, რომელიც დედამიწის უანგბადის დაახლოებით 40%-ს აწარმოებს. ტყე ყველაზე მეტად ინარჩუნებს ნიადაგში ტენს, რაც წყაროებისა და ნაკადულების არსებობის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. ის ხელს უწყობს მდინარეებში წყლის დონის შენარჩუნებას. ტყეს უდიდესი ნიადაგდაცვითი ფუნქცია აკისრია. ამ მხრივ მისი როლი სხვა მცენარეულობასთან შედარებით მნიშვნელოვნად დიდია. ტყეების გაჩეხვის შემდეგ იწყება ნიადაგის ეროზია; საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული ნიადაგის ფენა შეიძლება რამდენიმე წელიწადში ჩამოირეცხოს. ასეთი პროცესები განსაკუთრებით სწრაფად ციცაბო ფერდობებზე მიმდინარეობს. ტყის გაჩეხვა მეწყრების წარმოქმნის ერთ-ერთი ძირითადი წინაპირობაა. ტყეში ყოველთვის შენარჩუნებულია განსხვავებუ-



წატყევარი ეროზიული ფერდობები (მდ. ვერეს ხეობა)

ლი მიკროკლიმატი. ტყის შიგნით ტემპერატურა ყოველთვის უფრო დაბალია, ვიდრე მის გარეთ. ტყეს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კლიმატის გლობალური ცვლილების ფონზე. ტყე, სხვა მცენარეულობისგან განსხვავებით, არეგულირებს ჰაერის მასების (ქარების) მოძრაობას.

გამორჩეულია ტყის მნიშვნელობა ადამიანის ცხოვრებაში. ტყეში ადამიანი მოიპოვებს სხვა-

დასხვა ნედლეულს. ადამიანი ხისგან ამზადებს სასოფლო-სამეურნეო და საყოფაცხოვრებო დანიშნულების იარაღს, ავეჯს, იყენებს მას მსუბუქ მრეწველობასა და სამშენებლო საქმეში. მერქანი კვლავაც რჩება ერთ-ერთ ძირითად სათბობად.

ტყეში იზრდება მრავალი საკვები და სამურნალო მცენარე. ტყეში მცხოვრებ ადამიანებისათვის ტყე როგორც მცენარეული, ისე ცხოველური საკვების ძირითადი წყაროა. ტყე დასვენებისა და მკურნალობის საუკეთესო ადგილია.

## საქართველოს ტყეები

ტყეებს საქართველოს ტერიტორიის 35-40% უკავია. საქართველოს ტყეები დიდი მრავალფეროვნებით გამოიჩინება. ისინი ზღვის დონიდან დაწყებული 2500(2600) მ სიმაღლემდე მკვეთრად განსხვავებულ კლიმატურ ზონებშია გავრცელებული. ტყეები განვითარებულია როგორც ფერდობებზე, ისე ვაკეებსა და მდინარეთა ნაპირებზე.

ძირითადად გავრცელებულია ფოთლოვანი ტყეები, შედარებით მცირე ფართობები კი წინვოვან ტყეებს უკავია. ფოთლოვან ტყეთაგან ყველაზე მეტ ფართობს მოიცავს წიფლნარები. ფართოდაა გავრცელებული ქართული მუხის ტყეებიც. მცირე ფართობები უკავია იმერული მუხისა და

ჭოროხის მუხის კორომებს, ასევე წაბლნარებსა და რცხილნარებს. სუბალპებში დამახასიათებელია ლიტვინოვის არყის ტანბრეცილი კორომები, მაღალმთის ნეკერჩელისა და მაღალმთის მუხის ტყეები. მდინარეთა ტერასებზე ჭალის ტყეებია, რომლებიც ძირითადად შექმნილია მურყნის, ოფის, ვერხვისა და ჭალის, ანუ გრძელყუნწა მუხისაგან.

წინვოვან ტყეთაგან ყველაზე ფართოდ გავრცელებულია ნაძვნარები, სოჭნარები და ფიჭვნარები. ფიჭვნარები, ძირითადად, კავკასიური ფიჭვისგანაა შექმნილი. აფხაზებში შავი ზღვის სანაპირო ზოლში, ბიჭვინთისა და გაგრის მიდამოებში, ბიჭვინთის ფიჭვის კორომებია. განსა-



სუბალპური ტყე (მცირე კავკასიონი)

კუთრებით აღსანიშნავია უთხოვრის (ურთხმელის) ტყეები, რომლის ყველაზე დიდი კორომები მთელ დედამიწაზე კახეთში, ბაზარას ხეობაშია შემორჩენილი.

მცირე ფართობებს მოიცავს, მაგრამ გამორჩეული ადგილი უკავია ე.წ. არიდულ მეჩერ ტყეებს. ისინი საქართველოს ნახევრად მშრალი კლიმატის რეგიონებშია გავრცელებული. ასეთი

ტყეები ყველაზე უკეთ შემორჩენილია ივრის ზეგნის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში (ვაშლოვანის ნაკრძალში). მათგან ძირითადია საკმლისხიანები და ღვიიანები.

საქართველოს მთაგორიანი რელიეფის გამო, ტყეებს განსაკუთრებით დიდი როლი აკისრია მეწყრებისა და ფერდობების ეროზიის შეჩერებაში.



არიდული მეჩერი ტყე – საკმლისხიანი (ივრის ზეგანი)

## თბილისის მიდამოების მცენარეულობის მიმოხილვა

თბილისის მიდამოები მოიცავს მდინარე მტკვრის აუზის იმ ნაწილს, რომელიც ვრცელ-დება სოფელ ძეგვიდან ფონიჭალა-რუსთავს შორის მონაკვეთამდე. თბილისის მიდამოებში თავს იყრის სხვადასხვა გეოგრაფიული ერთეულის დაბოლოებები. კერძოდ, ჩრდილოეთიდან თბილისის მიდამოებში შემოდის კავკასიონის ქედის უკიდურესი სამხრეთული განშტოება – საგურამო-იალნოს ქედი და კვერნაქის სერის აღმოსავლეთ ნაწილი (სხალტბის სერი), დასავლეთიდან – თრიალეთის ქედის აღმოსავლური დაბოლოებანი (საწკეპელასა და არმაზის, მსხალდიდ-ლისის, მთაწმინდის, ნარიყალის, თაბორის, თელეთ-საყარაულოს ქედები), ხოლო აღმოსავლეთიდან – ივრის ზეგნის უკიდურესი ჩრდილო-დასავლეთური და დასავლეთური ნაწილი (ვაზიანი, თბილისის ზღვა და მისი მიმდებარე ტერიტორია და სხვა). სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით თბილისის მიდამოები მტკვარ-არაქსის დაბლობის უკიდურეს



მსხალდიდის ქედის მონაკვეთი

ჩრდილო-დასავლეთურ დაბოლოებას (ფონიჭალისა და კუმის-წალასყურის ვაკეები) მოიცავს. თბილისის მიდამოებს გამოკვეთილი საზღვარი მხოლოდ ჩრდილოეთიდან და ჩრდილო-დასავლეთიდან აქვს, რომელსაც საგურამო-იალნოსა და სხალტბის ქედები ქმნის. სხვა მიმართულე-



სხალტბის სერის მონაკვეთი

პით საზღვარი პირობითია. თბილისის მიდამოების სიმაღლე ზ.დ. 350 მ-დან 1875 მ-დეა.

თბილისის მიდამოებში გამოიყოფა ორი კლიმატური ზონა: (1) არასაკმარისი დატენიანების კლიმატური ზონა, მშრალი ცხელი ზაფხულითა და რბილი ზამთრით, (2) ზომიერად ტენიანი კლიმატის ზონა ზომიერად თბილი ზაფხულითა და ზომიერად ცივი თოვლიანი ზამ-

თრით. პირველ ზონაში ატმოსფერული ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა 380-დან 550 მმ-მდეა, ხოლო მეორე ზონაში – 600-დან 800 მმ-მდე. გამორჩეულია საგურამოს ქედი, რომლის თხემურ ნაწილში ატმოსფერული ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა 1000-1200 მმ-ს აღწევს.

თბილისის მიდამოების მცენარეული საფარი მრავალფეროვანი და კონტრასტულია. ამ შედარებით პატარა ტერიტორიაზე გავრცელებულია სხვადასხვა ტიპის ტყეები, ბუჩქნარი და სტეპი, აგრეთვე სუბალპური მდელოს, დამლაშებული მდელოს, უდაბნოსა და ჭარბტენიანი ადგილსამყოფელოების მცენარეული თანასაზოგადოებანი. ამათ გარდა, არის კლდოვანი და ნაშალ-ლორდიანი ადგილსამყოფელოები მათთვის დამახასიათებელი მცენარეული საფრით. ყველაზე მეტი ფართობი უკავია ფოთლოვან ტყეებს, ბუჩქნარებსა და სტეპებს, რომლებიც ქმნის თბილისის მიდამოების ძირითად ლანდშაფტებს.

## თბილისის მიდამოების ტყეები

წარსულში თბილისის მიდამოებში ტყეებს გაცილებით მეტი ფართობი ეკავა, ვიდრე დღეს. ამას მონაბეჭდის სხვადასხვა ისტორიული წყარო და ლეგენდა. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა ქართლის მეფის ფარნავაზის ნადირობის ისტორია, რომლის თანახმადაც მან დიღმის დაბურულ ტყეებში ირემზე ნადირობისას მიაგნო განძს. ვახტანგ გორგასალის მიერ თბილისის დაარსების ლეგენდაც, გარკვეულწილად, ხომ ტყესთანაა დაკავშირებული.

თბილისის მიდამოების ტყეების გამოყენება ადამიანმა ჯერ კიდევ ქალაქის დაარსებამდე დაიწყო, მათი ფართობის შემცირება უხსოვარი დროიდან იღებს სათავეს. ყველაზე დიდი დაღი თბილისის მიდამოების ტყეებს მფრის შემოსევებმა დაასვა. იმის გამო, რომ შემოსევების დროს ადგილობრივი მოსახლეობის საიმედო თავშესაფარი ტყე იყო, მტერი მას ჩეხდა და წვავდა. სომები ისტორიკოსის თომა არნორუნის ცნობით, ბულა თურქის შემოსევის დროს (853 წ.) თბილისის

შემოგარენში იწვოდა ადვილად აალებადი ტყეები (იგულისხმება ღვიიანები და საკმლისხიანები). გაჩეხილი და გადამვარი ტყეების აღდგენა კი შეუძლებელი იყო. თბილისის მიდამოების ტყეებს ძალიან დიდი ზიანი მიადგა მონაბეჭდის ბატონობის დროს. XVII საუკუნეში თბილისის შემოგარენის ფერდობებზე (სოლოლაკის, თაბორის, მთაწმინდის ფერდობები) ტყეები უკვე აღარ იყო. ამას მონაბეჭდის ფრანგი ბოტანიკოსის ჟოსეფ პიტონ დე ტურნეფორისა და ფრანგი მოგზაურის ჟან შარდენის ჩანახატები. ისტორიული წყაროების თანახმად, მამადავითის ქედზე მუხნარის შემორჩენილი კორომები XIX საუკუნის პირველ ნახევარში რუსეთის მეფისნაცვლის პასკევიჩის ბრძანებით გაიჩეხა. ამის მიზეზი ის იყო, რომ აქ ყაჩაღები აფარებდნენ თავს. ტყეები ადგილობრივი მოსახლეობის მიერაც იჩეხებოდა საყანე და სათიბი სავარგულების გაფართოების მიზნით. ამას ემატებოდა ტყის სამეურნეო და საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის გამოყენება, რომელიც ხშირ



ტყისშემდგომი სათიბ-საძოვრები (კოჯირის მიდამოები)

შემთხვევაში გაუაზრებელ და უგუნურ ხასიათს იძენდა. გასულ საუკუნეში თბილისისა და მისი შემოგარენის სოფლების მოსახლეობის ზრდისა და ურბანიზაციის პროცესის შედეგად ტყის ფართობი კიდევ უფრო შემცირდა.

ტყეების გაჩეხვის შედეგად წარმოიქმნა სხვა-დასხვა ტიპის ბუჩქნარები, სტეპები და კლდე-ნაშალ-ლორლიანი ეკოსისტემები. ხშირ შემთხვე-

ვაში, ძნელი წარმოსადგენია, რომ მათ ადგილას ახლო წარსულში ტყე იყო. წარსულში თბილისის მიდამოებში ტყის უფრო ფართო გავრცელებაზე მეტყველებს ზოგიერთი ტოპონიმიც: “მუხადწყარო”, “მუხადგვერდი” და სხვა. ამ მხრივ საყურადღებოა ტოპონიმი “წახშირგორა”, რაც მიუთითებს, რომ ამ ადგილას მზადდებოდა წახშირი, რომლითაც თბილისის მოსახლეობა მარაგდებოდა.



ტყისშემდგომი ბუჩქნარი და სტეპი (სოფ. მსხალდიდის მიდამოები)

თუმცა, ისე არ შეიძლება ვიფიქროთ, თითქოს თბილისის მიდამოები მთლიანად ტყით იყო დაფარული. მის აღმოსავლეთ და სამხრეთ ნაწილში – არასაკმარისი დატენიანების ზონაში, იმთავითვე, გავრცელებული იყო ნახევრად მშრალი ზონები-სათვის დამახასიათებელი მცენარეულობა (სტეპები, ბუჩქნარები და არიდული მეჩერი ტყეები). თბილისის მიდამოები წარმოადგენს ტყეებისა და ნახევრად მშრალი მცენარეულობის კონკურენციის ადგილს. ბუნებაში მათ შორის მუდმივი ბრძოლაა. თბილისის მიდამოებში ეს ბრძოლა გამძაფრებულია. ადამიანის არასწორი ჩარევის შედეგად ამ კონკურენციაში გამარჯვებული ყოველთვის ნახევრად არიდული ზონის მცენარეულობა გამოდის. ამჟამად ამ პროცესს აძლიერებს დედამიწაზე მიმდინარე კლიმატის გლობალური ცვლილებებიც.

თბილისის მიდამოების ტყეები, მიუხედავად მათი ფართობების შემცირებისა, მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ძირითადად გავრცელებულია მუხნარები, ნიფლნარები და რცხილნარები. მათ გარდა, არის იფნის, თელის, ვერხვის, მაღალმთის

მუხისა და ნაძვის მომცრო კორომები. შეზღუდულია ჭალისა და არიდული მეჩერი ტყეების (ლვიიანები) მონაწილეობა. იშვიათია მეჭეჭებიანი არყის დაჯგუფებებიც.

ქართული მუხისგან შექმნილი მუხნარები თბილისის მიდამოებში გავრცელებულია მთის ქვედა და შუა სარტყლებში, დაახლოებით ზ.დ. 600-1400 მ სიმაღლეზე. ქვეტყებში იზრდება: ჯაგ-



მუხნარი (სოფ. ბევრეთსა და სოფ. მსხალდიდს შორის)

რცხილა, კვიდო, მეჭეჭებიანი ცხრატყავა, ჯიქა, ზღმარტლი, შინდი, შინდანწლა, წითელი კუნელი, ტყემალი, თაგვისარა და სხვა. მდიდარია ბალახოვანი საფარიც: ქართული ყოჩივარდა, სურნელოვანი და თეთრი იები, ცისთვალა, ლედებურის ჩანყობილა-ბაია, კავკასიური ხარისძირა, ტყის და დიდჯამა ფურისულები, მაჩიტა, ტყის თივაქასრა, არჯაკელი, ირმისმხალა, სვინტრი, ტყიურა, ბეწვიანი ტყის ცერცველა, ტყის ფარსმან-დუკი, იტალიური ქოთანა, ღეროიანი ჩალანდარი, სამნაკვთიანი ანისული, ერთყვავილა მელიკა, მოხატული მელიკა, ყუნწიანი ნივრის დედა, ასევე ჯადვარისებრთა ოჯახის ნარმომადგენლები, სხვადასხვა სახეობის ისლი და სხვა. გვიმრებიდან დამახასიათებელია კილამურა. ხეთაგან, მუხის გარდა, გვხვდება იფანი, ჩვეულებრივი, ანუ მინდვრის ნეკერჩხალი, თამელი, ქორაფი და სხვა.

წიფლნარები თბილისის მიდამოებში გავრცელებულია ზ.დ., დაახლოებით, 1100 მ-ის ზევით. ისინი, მუხნარებთან შედარებით, უფრო ტენიან გარემოშია განვითარებული. მათში წიფელთან ერთად ხმირად მონაწილეობს რცხილა. თბილისის მი-

დამოების წიფლნარებში ბუჩქები, მეტნილად, ერთეული ეგზემპლარების სახითაა. მათგან ყველაზე მეტად დამახასიათებელია: კავკასიური მაყვალი, ტაბლაყურა, დიდგულა, წერნა, ჯიქა. ბალახებიდან ჩვეულებრივია მთის წივანა, ქრისტესბეჭედა, ტყის ჩიტისთვალა, უუმურა, ბოლქვებიანი ტყისბოლოვა, მაჩიტა, სვინტრი, თეთრი ია, კილამურა, ტყის თივაქასრა, ჩადუნა, მდელოს მატკვარცანა, წითელი ცე-



წიფლნარი (საგურამოს ქედი)




რცხილნარი (სოფ. ბევრეთსა და სოფ. მსხალდიდს შორის)

ფალანთერა, მწვანეყვავილა პლატანთერა, ოქროს-ფერი ტყის ცერცველა და სხვა. იშვიათია დათვის ყურძენი, ძალლის სატაცური, კავკასიური ხარისძირა, ტყის უუნურუკი, ანჩხლა და სხვა.

რცხილნარები თბილისის მიდამოებში გავრცელებულია ზ. დ. 1000-1400 მ სიმაღლეზე. აქ ისინი, მეტწილად, მუხნარისა და წიფლნარის ნაალაგევზეა განვითარებული. ამიტომ ქვეტყესა და

ბალახოვან საფარში მუხნარისა და წიფლნარი-სათვის დამახასიათებელი მცენარეებია.

იფნარები, მომცრო კორომების სახით, თბილისის მიდამოების სხვადასხვა ნაწილში გვხვდება. თელადუმის კორომები გავრცელებულია საგურამოს ქედის სამხრულ კალთაზე. მთრთოლავი ვერხვის თანასაზოგადოებანი იშვიათია. ისინი, მეტწილად, ნახანძრალ ადგილებზე წიფლნარი-



აღმოსავლური ნაძვის კორომი (სოფ. ბევრეთის მიდამოები)

სა და რცხილნარის ნაალაგევზე ვითარდება. მაღალმთის მუხის მუხნარი თბილისის მიდამოებში, მისთვის დამახასიათებელ სიმაღლესთან შედარებით, დაბლაა “ჩამოსული”: მისი დაჯგუფებები გვხვდება მდ. დილმისწყლის ხეობასა და კოჯირის მიდამოებში ზ.დ. 1400-1500 მ სიმაღლეზე. ნაძვის მომცრო კორომები თბილისის მიდამოებში მხოლოდ მდ. დილმისწყლის ხეობაში, სოფელ ბევრეთის მიდამოებშია გავრცელებული.



მტკვრისპირა ჭალის ტყე (ზაჰესის მიდამოები)



ლვიინი (სხალტბის სერი)

თბილისის მიდამოებში ჭალის ტყეები თითქმის განადგურებულია. მათი ფრაგმენტები ძირითადად მდ. მტკვრის ტერასებზეა შემორჩენილი. ისინი შექმნილია ოფისა და ტირიფისგან.

არიდული მეჩხერი ტყეები – ლვიიანები გავრცელებულია სხალტბის სერსა (მცხეთა-შიომღვიმის მონაკვეთზე) და არმაზის ქედზე (სოფ. კარსანთან). ძირითადი სახეობებია შავი, ანუ მყრალი და მრავალნაყოფა ლვიები. დამახასია-

თებელია აგრეთვე წითელი ღვია. ქვეტყეში იზრდება ჟასმინი, ქართული ცხრატყავა, გრაკლა, ძეძვი, თრიმლი, ჯორისძუა, მენახირის ბალი, პონტოური თაგვისარა, ქართული შინდანწლა და სხვა. ბალახოვან საფარში ჩვეულებრივია ბუშის ისლი და ბერსელა. უმეტეს შემთხვევაში, კარგადაა განვითარებული ხავსის საფარი. ღვიიები, მუხის მსგავსად, საკმაოდ ხანგრძლივი სიცოცხლით გამოირჩევა.

ამჟამად თბილისის მიდამოების მცენარეულ საფარში, ბუნებრივ მცენარეულობასთან ერთად, მნიშვნელოვანი ადგილი ხელოვნურ ნარგაობას უკავია. ფართობის მიხედვით გამოირჩევა შავი, ელდარისა და კავკასიური ფიჭვებისგან შექმნილი კორომები. ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებს თბილისისა და მისი შემოგარენის ეკოლოგიური გარემოს (პირველ რიგში, ჰაერის) გაჯანსაღებაში. ეროზირებულ კლდოვან ფერდობებზე გაშენებული ფიჭვნარები ხელს უწყობს ნიადაგნარმოქმნას.

ტყეებში მცენარეთა თითქმის ყველა სასიცოცხლო ფორმაა გავრცელებული: ხეები, ბუჩქები და ბალახოვანი მცენარეები. ბუჩქთაგან ყურადღებას იპყრობს განსაკუთრებული სასიცოცხლო ფორმა ლიანები, რომლებიც საყრდენად



ხელოვნური ფიჭვნარი (სოფ. მსხალდიდის მიდამოები)

სხვა მცენარეებს იყენებს. თბილისის მიდამოებში ასეთებია: ჩვეულებრივი და პასტუხოვის სუროები, კატაბარდა, ეკალლიჭი, ღვედკეცი, უსურვაზი და სხვა. ლიანები ყველაზე ფართოდ ჭალის ტყეებშია გავრცელებული.

თბილისის მიდამოების ტყეებში მოზარდ მერქნიან მცენარეთა უმეტესობა ფოთოლმცვივანია. მათ გარდა გავრცელებულია მარადმნვანე წიწვოვანი და ფოთლოვანი ხეები და ბუჩქები. წიწ-

ვოვნებიდან ესენია: უთხოვარი, ნაძვი, მრავალნა-  
ყოფა, შავი, წითელი და გრძელნიწვიანი ღვიები.  
გაველურებულია შავი და კავკასიური ფიჭვები.  
მარადმწვანე ფოთლოვანი ბუჩქებიდან გვხვდება  
წყავი, ჭყორი, თაგვისარა, პასტუხოვისა და ჩვეუ-  
ლებრივი სუროები.

ბალახოვანი მცენარეების უმეტესობა მრა-  
ვალწლოვანია. მათ შორისაა ფესურიანი, ტუბე-  
რიანი და ბოლქვიანი ბალახები. ერთწლოვანი  
მცენარეები მცირე რაოდენობითაა.

წლის სხვადასხვა პერიოდში ტყე განსხვავე-  
ბულად გამოიყურება და თავისებური სილამაზი-  
თა და ელფერით იზიდავს მნახველს. ადრე გაზაფ-  
ხულზე, ხეებისა და ბუჩქების შეფოთვლამდე, ყვა-  
ვილობს და გარემოს ამშვენებს ცისთვალა, ქარ-  
თული ყოჩივარდა, ტყის და დიდჯამა ფურისულე-  
ბი, კავკასიური ხარისძირა, ხუთფოთოლა ტყისბო-  
ლოკა და სხვა. ბუჩქებიდან ტყეებში გაზაფხულის  
მახარობლებად შინდი და ტყემალი გვევლინება.  
მათ შემდეგ ყვავილობს სურნელოვანი და თეთრი  
იები. გვიან გაზაფხულსა და ზაფხულში, მწვანედ  
შემოსილი ტყის საბურვლის ქვეშ ყვავილობას სხვა

ბალახოვანი მცენარეები იწყებს. მათ შორის აღსა-  
ნიშნავია: არჯაკელი, ტყის ცერცველა, სვინტრი,  
ირმისმხალა, მაჩიტა, ტყის ფარსმანდუკი, უჟმუ-  
რა, ყუნწიანი ნივრის დედა, ღეროიანი ჩალანდა-  
რი, დაბალი ჩალანდარი, სამნაკვთიანი ანისული.  
ზაფხულის ბოლოდან ტყე იწყებს ფერის ცვლას.  
მწვანე საბურველს ნელ-ნელა ეპარება შემოდგო-  
მის თბილი ფერები. შემოდგომა განსაკუთრებუ-



შემოდგომის ტყე (წიფლნარი, სოფ. ბევრეთის მიდამოები)



მტკვრისპირა ჭალის ტყე შემოდგომით (თბილისი)

ლად ლამაზია ტყეში – ყვითელ და წითელ ფერებში შემოსილი ხეები და ბუჩქები და მინაზე ახლად ჩამოცვენილი ფოთლები მშვიდ და რომანტიკულ გარემოს ქმნის. ამ პერიოდში ლამაზი, თავისებური ნაყოფებით ყურადღებას იქცევს მეჭეჭებიანი ჭანჭყატა, კიდობანა, გლუვქერქიანი ჭანჭყატა, ტაბლაყურა, წერნა, მოლოზანა, ჯიქა, კავკასიური და ქართული ცხრატყავები, წითელი ღვია, ჩვეუ-

ლებრივი, ანუ მინდვრის ნეკერჩხალი, ლეკა, ქორაფი, ჭყორი, თაგვისარა, კვიდო, ხეშავი, ღვედკეცი, შინდი, ზღმარტლი, ძაღლის სატაცური და სხვა. ზამთარში “უსიცოცხლო” და “გაძარცვული” ტყე თოვლის მოსვლის შემდეგ იბრუნებს სილამაზეს და განსხვავებული იდუმალებით აღივსება.

თბილისის მიდამოების ტყეებში იშვიათი და გადაშენების პირას მყოფი არაერთი მცენარეა გავ-



ტყე ზამთარში (მუხნარი, კოჯირის მიდამოები)

რცელებული. მათგან საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილია: უთხოვარი, ჭალისა და მაღალმთის მუხები, საკმლის ხე, შავი და მრავალნაყოფა ღვიები, შიშველი აკაკი, ქართული ნეკერჩალი, პატარა თელადუმა, შიშველი თელადუმა, ყამბრო და კოლხური ბზა. აქ იზრდება კავკასიისა და საქართველოს ენდემები. კავკასიის ენდემებია: კავკასიური ხარისძირა, კავკასიური ოორდასალამი, ქართული თხილი, ლეფებურის ჩანყობილა-ბაია, ტყის ფურისულა, გლუვერქიანი ჭანჭყატა და სხვა. ნატყევარ ადგილებსა და ტყის პირებში გავრცელებულია კავკასიური კუნელი. საქართველოს ენდემია არმაზის შინდანნლა. საგურამო-იალნოს ქედზე შემორჩენილია მესამეული გეოლოგიური პერიოდის მცენარეები: ჭყორი, პასტუხოვის სურო, წყავი და უთხოვარი. ეს იმით აიხსნება, რომ აქ შედარებით მეტი ატმოსფერული ნალექები მოდის.

ტყეებში ბევრი სასარგებლო მცენარეა, რომელთაც ადამიანი სხვადასხვა დანიშნულებით გამოიყენებს. თბილისის მიდამოების ტყეები განსაკუთრებით მდიდარია სამკურნალო მცენარეებით. ხეთაგან სამკურნალოა: ცაცხვი, ქართული და

გრძელყუნწა მუხები, მურყანი, ფშატი, იფანი, პანტა, წიფელი, კავკასიური აკაკი, შავი და მრავალნაყოფა ღვიები, საკმლის ხე, მაჟალო, დიდგულა, მეჭეჭებიანი არყი. ბუჩქთაგან სამკურნალო თვისებებით გამოირჩევა წითელი კუნელი, პასტუხოვისა და ჩვეულებრივი სუროები, შინდი, ჩვეულებრივი თხილი, ხეშავი, ქაცვი, უოლო, კიდობანა, თრიმლი, წითელი და გრძელწიწვიანი ღვიები და სხვა; ბალახოვნებიდან: ქართული ყოჩივარდა, სვია, დიდჯამა ფურისულა, ტყიურა, ქრისტესბეჭედა, თეთრი და სურნელოვანი იები, ძაღლის სატაცური, ყვანჩალა, შალამანდილი, უჟმურა, ირმისმხალა, დიდი ხვართქლა, კილამურა, ჩადუნა და სხვა. სამკურნალო მცენარეთაგან გამორჩეულია და ყურადღებას იპყრობს ნახევრად პარაზიტი მცენარე ფითრი, რომელიც სხვადასხვა ხეზე სახლობს. ზოგიერთ მცენარეს ადამიანი საკვებად მოიხმარს. ასეთებია: შინდი, ზღმარტლი, წითელი კუნელი, პანტა, მაჟალო, მაყვალი, ყამბრო და სხვა.

თბილისის მიდამოებში ბევრი ძვირფასმერქნიანი ხე და ბუჩქი იზრდება. ისინი გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო და საყოფაცხოვრებო იარაღების




პანტაზე დასახლებული ფითრი

დასამზადებლად, მშენებლობაში, ავეჯისა და ფან-ქრის წარმოებაში. ხის მერქანი დღემდე რჩება გათ-ბობის ერთ-ერთ ძირითად საშუალებად. მაგარმერ-ქნიანი და გამძლე ხეები (ქართული მუხა, უთხოვარი, ღვიები და სხვა) ოდითგანვე გამოიყენებოდა სამშე-ნებლო საქმეში. მათი ძელები შემორჩენილია მრა-ვალსაუკუნოვან ციხეებსა და ეკლესიებში.

ტყეებში არაერთი მაღალდეკორატიული მცე-ნარეა. თბილისის მიდამოებში ასეთებია: ქარ-თული ყოჩივარდა, სურნელოვანი და თეთრი იები, კავკასიური ხარისხირა, ცისთვალა, ლედებურის ჩანყობილა-ბაია, ტყისა და დიდჯამა ფურისულე-ბი, სვიტრი, კავკასიური იორდასალამი, არჯაკე-ლი, ტყის ცერცველა, ირმისმხალა, მაჩიტა, გუგუ-ლისკაბა, წითელი და გრძელფოთოლა ცეფალან-თერები, მეწამული ჯადვარი და სხვა.

თბილისის მიდამოების ტყეებში ბევრია სო-კო. ისინი სახლობენ როგორც ნიადაგზე, ისე მცენარეებზე. ხის სოკოების ნაწილი ხმელ წაქ-ცეულ ხეებზე, ჩამოცვენილ გამხმარ ტოტებსა და კუნძებზე, ნაწილი კი ცოცხალ ხეებზე სახ-ლობს. ცოცხალ ხეებზე მოზარდი სოკოებიდან



აბედა სოკო

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს აბედა სოკოები. ისინი, ძირითადად, ხანდაზმულ ხეებზე სახლდება და მათ ხმობას იწვევს. მინის სოკოთაგან გამოირჩევა ქუდიანი სოკოები. მათი სხეულის ძირითადი ნაწილი ნიადაგშია. მინის ზევით მათი ქუდიანი ნაწილი მეტწილად წვიმიანი და თბილი ამინდის დროს ვითარდება. სოკოების ნაწილი შხამიანია, ნაწილი კი საკვებად ვარგისია. ხშირად მათი ერთმანეთისგან გარჩევა ძალიან ძნელია. ამიტომ სოკოების შეგროვებისას ფრთხილად უნდა ვიყოთ. საკვებად ვარგისი ქუდიანი სოკოებიდან თბილისის მიდამოების ტყეებში გვხვდება წითლიო (წითელკაბა), ჭეჭკატა (მჭადიო), ღვინიო, ნერენო, შავჩოხა, ნეროსნივა, ტყის ქამა, დათვის სოკო და სხვა, ხოლო ხის სოკოებიდან აღსანიშნავია კალმახა (ხეთამ-ხალი), მაჩალო და მანჭკვალა.

მიუხედავად იმისა, რომ თბილისის მიდამოების ტყეების უმეტესი ნაწილი დეგრადირებულია, მრავალფეროვანია მისი ფაუნა (ცხოველთა სამყარო). მტაცებელ ძუძუმწოვართაგან გავრცელებულია: ფოცხვერი, ტყის კატა, მგელი, ტყისა და



ნითელკაბა, აზუ ნითლიო

კლდის კვერნები, დედოფალა, მაჩვი. მდინარის ნაპირებთან იშვიათად ბინადრობს წავი. ტყისპირებში ცხოვრობს ტურა. მღრნელებიდან გვხვდება მცირე და პონტოური ტყის თაგვები, ბუჩქნარისა და მცირეაზიური მემინდვრიები, ხეებზე ცხოვრობს იშვიათი ცხოველი ჩვეულებრივი ძილგუდა. ხშირად შეხვდებით ჩვეულებრივ და ტყის ციყვებს. მწერიჭამიებიდან გავრცელებულია კავკასიური თხუნე-



ნეროსნეივა

ლა, იშვიათია რადეს და კავკასიური წყლის ბიგები. ტყისპირებში ბინადრობს ზლარბი. მრავლადაა კურდღელი. ბოლო დროს კვლავ მომრავლდა შველი. სამწუხაროა, რომ ალარ გვხვდება ირემი, ძალიან შემცირდა გარეული ღორი, იშვიათია დათვი.

ქვეწარმავალთაგან ბინადრობს ართვინური ხვლიკი. ამფიბიებიდან გავრცელებულია ჩვეულებრივი ვასაკა, კავკასიური ჯვრიანა, ტყის ბა-

ყაყი. იშვიათად შესაძლებელია ჩვეულებრივი, მცირეაზიური და კავკასიური სავარცხლიანი ტრიტონებიც შეგვხვდეს.

მრავალფეროვანია ფრინველები. ხშირად გაი-  
გონებთ კოდალას კაკუნს, ჩხიკვის ხმასა და შაშვის

გალოპას. მათ გარდა ბუდობს წინწკალა, ჩხართვი, ჩიტბატონა, მოლალური, მწვანურა, მწვანე და ჭე-  
დია ყარანები, შავთავა ასკუჭატა და სხვა. მტაცე-  
ბელ ფრინველთაგან გავრცელებულია მიმინო, ქო-  
რი, კაკაჩა, ტყის ბუ, ჭოტი და სხვა.

## თბილისის მიდამოების ტყეების თანამედროვე მდგომარეობა

დღეისათვის თბილისის მიდამოების ტყეების უმეტესი ნაწილის სტრუქტურა სახეშეცვლილია. ტყეს თვითაღდებნის უნარი აქვს, მაგრამ ადა-  
მიანის ზეგავლენით ეს პროცესი ითრგუნება და ტყის ბუნებრივი განახლება სუსტდება. ამის გა-  
მო, დარღვეულია თაობათა ცვლა. ხშირად შეხ-  
ვდებით მრავალჯერ გადაბელილ ხეებსა და კუნ-  
ძებს. ტყის კალთის შეკრულობა შემცირებულია.  
შეჭრილია ტყისთვის არატიპიური მცენარეები.  
სამწუხაროდ, ტყეებში ჭრა დღესაც გრძელდება.

ხეების გაჩეხვის შედეგად ირღვევა ტყისათ-  
ვის დამახასიათებელი გარემო. ხეების ქვეშ მო-  
ზარდ მცენარეთა უმრავლესობა ვეღარ ეგუება.



ნორჩი ქართული მუხა (სხალტბის სერი)



ნორჩი ნაძვი (სოფ. ბევრეთის მიდამოები)

ახალ საარსებო პირობებს და იღუპება. იღუპება ან სხვა ადგილას გადაინაცვლებს ტყისთვის და-მახასიათებელი ფაუნაც. ეს კი იწვევს ბიომრა-ვალფეროვნების გაღარიბებას.

თბილისის ირგვლივ არსებული ტყეები საუკე-თესო რეკრეაციული ზონაა. დასვენების დღეებში, განსაკუთრებით ზაფხულში, ტყეს ბევრი ადამიანი სტუმრობს. ძალიან სამწუხაროა, რომ მათი ნაწილი

ტყეს უდიერად ეპყრობა: ამტვრევს ტოტებს, აზია-ნებს ხეებსა და ბუჩქებს. ზოგჯერ ხეებზე, თავისი აქ ყოფნის აღსანიშნავად, ამოჭრის წარწერებს. ანადგურებს ლამაზად მოყვავილე მცენარეებს. ხშირად წააწყდებით საყოფაცხოვრებო ნარჩენე-ბით დაბინძურებულ ადგილებსაც.

მიუხედავად იმისა, რომ თბილისის მიდამოების ტყეები არასახარბიერო მდგომარეობაშია, აქ მაინც



დანაგვიანებული ტყე (კოჯირის მიდამოები)



მცენარისადმი უდიერი დამოკიდებულების მაგალითი



ხნიერი (300-350 წლის) ნიფელი (იალნოს ქედი)

შეხვდებით 200-300(400)-წლოვან ქართულ მუხას, ნიფელსა და რცხილას. ასეთ ხანდაზმულ ხეებს “ტყის პატრიარქებს” უწოდებენ. ისინი, უმეტეს შემთხვევაში, არაერთხელაა გადაბელილი. სხალტბისა და არმაზის ქედებზე, განსაკუთრებით მიუვალ ადგილებში, არც თუ იშვიათია ღვიების ხანდაზმული ინდივიდები, რომელთა ასაკი 200-350 წელს აღწევს.



ხნიერი (250-300 წლის) შავი, ანუ მყრალი ღვია  
(სხალტბის სერი)

როგორც ვხედავთ, ტყეს განსაკუთრებული ადგილი უკავია ადამიანის ცხოვრებაში. ტყის გარეშე წარმოუდგენელია დედამიწაზე ეკოლოგიური ბალანსის შენარჩუნება. ტყეების განადგურება იწვევს ეკოლოგიურ კატასტროფებს. სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო მიზნებისთვის მათი მასიური ჩეხვა და განადგურება



ახლად გაჩეხილი ტყე (სოფ. ბევრეთსა და სოფ. მსხალდიდს შორის)

დღესაც ინტენსიურია. ამის შედეგია დედამიწის ბიომრავალფეროვნების გაღარიბება. ამიტომ ყოველი ჩვენთაგანის ვალია არა მარტო ტყის დაცვა და მოვლა, არამედ მისი აღდგენა და მომავალი თაობებისათვის გადაცემა. ტყუილად ხომ არ უთქვამს ქართველ კაცს: “ტყე შეუნახე შვილებსა, მამა ხარ, შენი ვალია”.

## თბილისის მიდამოების ტყის ზოგიერთი ბუჩქი და ხემცენარე



გლუვერქიანი ჭანჭყატა



ზღმარტლი



ქაცვი



შინდი



ჯიქა (ყვავილობაში)



ჯიქა (ნაყოფობაში)



ქართული ცხრატყავა



ჩვეულებრივი სურო



მოლოზანა



კვიდო



ტაბლაყურა



ქართული მუხა



წვეულებრივი ჯონჯოლი



პანტა



წითელი ღვია



წითელი კუნელი


## თბილისის მიდამოების ტყის ზოგიერთი ბალახოვანი მცენარე



კავკასიური ხარისხირა



ცისთვალა



დიდჯამა ფურისულა



ქართული ყოჩივარდა



სურნელოვანი ია



ღეღებურის ჩანცობილა-ბაია



ტყის ფურისულა



თეთრი ია



ირმისშხალა



არჯაკელი



სვინტრი



მთის შროშანი



კაპბის-საკენკელა



დამასონური ცეფალანთერა



კილამურა



ტყის ცერცველა



დაბალი ჩალანდარი



ძალლის სატაცური



